მოწვევა წინადადებების წარმოდგენაზე, საქართველო

წინადადებების მოწოდების ბოლო ვადა: 2015 წლის 12 აგვისტო

გლობალური პარტნიორობა სოციალური ანგარიშვალდებულებისთვის (GPSA) განვითარებად ქვეყნებში ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლების ერთობლივ მუშაობას მმართველობის სფეროში არსებული კრიტიკული ხასიათის გამოწვევების გადასაჭრელად. ამ მიზნის მისაღწევად GPSA სტრატეგიული და მდგრადი ხასიათის მხარდაჭერას აღმოუჩენს სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (CSO-ებს) სოციალურ ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებულ ინიციატივებში, რომელთა ამოცანაა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერება. იგი მსოფლიო ბანკის საჯარო სექტორის მოთამაშეებთან პირდაპირ და მიმდინარე აქტივობებსა და გლობალური პარტნიორი ორგანიზაციების ქსელს ეფუძნება იმ ხელშემწყობი გარემოს შექმნაში, სადაც *მოქალაქეების მიმართ ანგარიშვალდებულება გამოიყენება ფუნდამენტური ხასიათის პრობლემების გადასაჭრელად მომსახურების მიწოდებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებში.* ქვეყანაზე ადაპტირებული მიდგომით, GPSA-ის მიერ მხარდაჭერილი საქმიანობები განხორციელება ისეთ სექტორებში, სადაც მსოფლიო ბანკი აქტიურად არის ჩართული და დახმარებას უწევს სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლებას მოქალაქეთა მიმართ ანგარიშვალდებულებაში.

GPSA მუშაობს "ანგარიშგების რგოლის შემოხაზვის" ("close the loop") პრინციპით, მხარს უჭერს მოქალაქეებს მათი აზრის უფრო მკაფიოთ გამოხატვაში ხელისუფლება ამ აზრის მოსმენაში. ამასთან ერთად დახმარებას გაუწევს სახელმწიფო უწყებებს მიღებული ინფორმაციის მიხედვით საპასუხო ქმედებების განხორციელებაში.

GPSA-ს პატივი აქვს გამოაცხადოს მისი მე-3-ე გლობალური მოწვევა წინადადებებზე. საქართველოში, GPSA ეძიებს წინადადებებს სოციალური ანგარიშვალდებულების სფეროში ინიციატივებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროგრამების მხდრიდან შემდეგი **საკითხების გადასაჭრელად:**

- ⇨ მუნიციპალური მომსახურების ეფექტურობის გაზრდა, რაც ასევე მოიცავს მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვასა და განხორციელებას და სკოლამდელი განათლების მომსახურებას; ზემოთ წარმოდგენილი, თავის მხრივ, მოიცავს ცენტრალური ხელისუფლების სამოქმედო გეგმების მუნიციპალური დაგეგმარებისა და ბიუჯეტირების პროცესში ასახვას, სხვა საკითხებთან ერთად ბავშვთა უფლებების დაცვისა და შეზღუდული შეძლებლობების მქონე პირთა საკითხების გათვალისწინებით. მომზადებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ რესურსების გამოყოფისა და მომსახურებების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, ცენტრალური ხელისუფლების მიერ მომავალი პოლიტიკისა და რეფორმების შემუშავების პროცესში და ადგილობრივ და ცენტრალურ სახელისუფლებო ერთეულებს შორის შესაბამის სფეროებში თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაძლიერებაში.

GPSA-ს მიდგომის შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ მიღებული ინფორმაცია გარდა აღ მასრულებელი ხელისუფლებისა, გამოყენებულ იქნას ასევე საჯარო სექტორის სხვა ორგანიზაციების მიერ, რაც მოიცავს უმაღლესი აუდიტის ორგანიზაციებს, საკანონმდებლო ორგანოებს, დამოუკიდებელ მარეგულირებელ სააგენტოებს და ზედამხედველობის სხვა ორგანოებს.

იმისათვის რომ მოხდეს წინადადებების გათავლისწინება, მათ უნდა შესძლონ შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინება:

1. პროექტი ხელს შეუწყობს ისეთი ტიპის ინტერვენციებს, რომლებიც შეიძლება დუბლირებული იქნას მთელი ქვეყნის მასშტაბით;
2. შემოთავაზებული ინტერვენცია ავსებს მეორე რეგიონალური მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის მიერ მხარდაჭერილ აქტივობებს სოციალური ანგარიშგების მიმართულებით.
3. პროექტის ფარგლებში გამოვლენილი იქნება ინფორმაცია, რომელიც საჭიროა შესაბამისი საჯარო ორგანიზაციების მიერ უკვე მხარდაჭერილი არსებული პროცესების მხარდასაჭერად.

<u>GPSA მხარს დაუჭერს წინადადებებს:</u>

- რომელთა ხანგრძლივობა 3-დან 5 წლამდეა, სოციალური ანგარიშვალდებულების პროცესის მდგრადი და სტრატეგიული დაფინანსების ხელშეწყობის მიზნით;
- რომლებშიც წარმოდგენილია გრანტის მთლიან თანხებზე გაწერილი დეტალური ბიუჯეტი სავარაუდო დაფინანსების ფარგლებში - 400,000 აშშ დოლარიდან 800,000 აშშ დოლარამდე. **მისაღებია წინადადებები ამ თანხებზე ნაკლები ბიუჯეტითაც. ~~გათვალისწინებული იქნება მოთხოვნები მოცემული ფარგლების ქვემოთ.~~** მოთხოვნილი თანხის მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს წინადადების განხორციელების ხანგრძლივობას.

<u>სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების (CSO-ების) შესაბამისობის კრიტერიუმები:</u> იურიდიული პირები, რომლებიც არ წარმოადგენენ სახელმწიფო ან მოგებაზე ორიენტირებულ სექტორებს; ასეთებია: არასამთავრობო ორგანიზაციები, არა მოგებაზე ~~ორიენტირული~~ მომუშავე მედია ორგანიზაციები, საქველმოქმედო რეგილიური პროფესიული ორგანიზაციები, პროფ-კავშირები, დასაქმებულთა ორგანიზაციები, არჩეული ადგილობრივი წარმომადგენლების ასოციაციები, ფონდები და პოლიტიკის განვითარებისა და კვლევითი ინსტიტუტები.

განცხადების შემომტანმა CSO-მ უნდა წარმოადგინოს იურიდიული სტატუსის დამადასტურებლი საბუთი, რომ ის არის დარეგისტრირებული GPSA-ს ერთ-ერთ „მონაწილე“ ქვეყანაში.

გთხოვთ, გაეცნოთ GPSA-ს განაცხადის შეტანის სახელმღვანელო მითითებებს გრანტის მოპოვებაზე განაცხადის შეტანის, შესაბამისობის მოთხოვნების, შერჩევის კრიტერიუმებისა და შერჩევის პროცესის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის.

იმ შემთხვევაში, თუ გსურთ კონკურსში მონაწილეობის მიღება და განაცხადის წარდგენა, გთხოვთ ეწვიოთ www.thegpsa.org გვერდს, GPSA განაცხადის შეტანის სახელმძღვანელო მითითებების გაცნობისა და განაცხადის ფორმებზე წვდომისათვის.

საქართველოში მსოფლიო ბანკის ოფისის მიერ ორგანიზებული საორიენტაციო შეხვედრა შედგება 2015 წლის 30 ივნისს 5 საათზე მსოფლიო ბანკის თბილისის ოფისში მისამართზე: ნინო რამიშვილის 5ა, თბილისი 0179, საქართველო

საკონტაქტო პირები:

ნინო მეტრეველი, GPSA პროგრამის კოორდინატორი საქართველოში
ელ-ფოსტა: nmetreveli@worldbank.org.ge

საორგანიზაციო საკითხებზე გთხოვთ დაუკავშირდეთ რუსუდან მანჯგალაძეს
ელ-ფოსტა: mandzhgaladze@worldbank.org